გააფერადე შენი იდეები

héra®

PRIMALEX®

trilak
the paintmaster
by PPG

პროდუქციისკატალოგი

2021

25წლიანი გამოცდილება

1996

კომპანია SERANO

დაფუძნდა საბერძნეთის ქალაქ სალონიკში და იყო MaxMeyer-ის ექსკლუზიური დისტრიბუტორი ამიერკავკასიის რეგიონში.

2000

PPG Industries

MaxMeyer Duco S.p.A-ის შეძენის შემდეგ PPG Industries-გან, კომპანია აფართოებს ასორტიმენტს და ამატებს ბრენდებს PPG Deltron და Envirobase

2004

გაფართოება

რამდენიმე წარმატებულ საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობის შემდეგ კომპანიამ დაიწყო ექსპორტი დსთ-ს ქვეყნებში.

2011

საქართველოს ფილიალი

იხსნება პირველი ფილიალი საქართველოში.

2014

CBG

CAUCASUS BUSINESS GROUP

კავკასიის ბიზნეს ჯგუფი

კომპანია ხდება კავკასიის ბიზნეს ჯგუფის წევრი კაუკასუს ჰეინტ-ის სახელით.

2017

სომხეთის ფილიალი

სომხეთში იხსნება კომპანიის პირველი ფილიალი. კომპანია ასევე აფართოებს თავისი პროდუქციის ასორტიმენტს ეკონომ სეგმენტის ბრენდით Quickline.

QUICKLINE

2018

ასორტიმენტის გაფართოება

კომპანია აფართოებს თავისი პროდუქტების ასორტიმენტს NEXA Autocolor ბრენდის დამატებით და შედის მსუბუქი მრეწველობის ბაზარზე ბრენდით SELEMIX.

2019

სახარჯი მასალები და აღჭურვილობა

კომპანიის პროდუქტებს ემატება FINIXA და Walcom ბრენდები.

2020

დივერსიფიკაცია

კომპანია ახდენს ბაზრების დივერსიფიკაციას საავიაციო და საშენებლო ლაქ-საღებავების დამატებით.

სარჩევი

PPG-ის შესახებ 1-2

ჩვენი უნიკალური ფერები შენი შთაგონებისთვის 3-4

პროდუქციის ასორტიმენტი

ინტერიერის შეღებვისას 5-6

ინტერიერის და ექსტერიერის კედლის საღებავები 7-8

- ტრილაკ-ის შესახებ 9
- ჰერა თეთრი / HERA White 10
- პრიმალექს ოპტიმალ / PRIMALEX OPTIMAL 11
- პრიმალექს ექსკლუსივ / PRIMALEX EXCLUSIVE 12
- პრიმალექს ფასად / PRIMALEX FACADE 13
- პრიმალექს ფასად ელასტიკ / PRIMALEX FACADE ELASTIC 14
- პრიმალექს პრაიმერ / PRIMALEX PRIMER 15

PPG-ის შესახებ

ჩვენი შტაბ-ბინა მდებარეობს პიცბურგში აშშ. წარმოდგენილი ვართ 70-ზე მეტ ქვეყანაში და ვქმნით ინოვაციურ გადაწყვეტილებებს ჩვენი მომხმარებლებისთვის. ჩვენ ვაწვდით პროდუქციას მრავალი ინდუსტრიის წარმომადგენლებს, როგორებიც არიან სამშენებლო, სამომხმარებლო, მძიმე და მსუბუქი მრეწველობა, მანქანათმშენებლობა და შესაფუთი მასალები.

ჩვენ, კომპანია PPG-ში ვქმნით ჩვენი პლანეტის უკეთეს მომავალს საღებავების, ლაქების და სხვა მასალების გაუმჯობესებაზე ყოველდღიური მუშაობით. ჩვენი პროდუქცია სარგებლობს მომხმარებლების ნდობით 130 წელზე მეტია. ჩვენ ყველაზე დიდ გამოწვევასაც კი ერთგულებითა და კრეატიულობით ვპასუხობთ, ჩვენს მომხმარებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

ჩვენი ლაქ-საღებავები ასრულებს არა მხოლოდ ესთეთიკურ, არამედ ფუნქციურ დანიშნულებასაც. ის ფაქტი, რომ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში წარმოებული სამიდან ორი მანქანა იყენებს PPG-ის ტექნოლოგიასა და ნოუ-ჰაუს ადასტურებს ჩვენი პროდუქციისა და მომსახურებების გავრცელების მაშტაბებს.

We protect and beautify the world™

PPG დანადგარები და სპეციალური მასალები ჩვენს მომხმარებლებს ეხმარება დაიცვან, გაუმჯობესონ და გაალამაზონ თავისი საცხოვრებელი და საოფისე სივრცეები.

PPG-ის პროდუქტების ასორტიმენტი ფართო და მრავალფეროვანია - მოიცავს მცირე და დიდ, ყოველდღიურ და უნიკალურ ნივთებს. ჩვენ გთავაზობთ საღებავებს თითქმის ყველაფრისთვის: ავტომობილები, თვითმფრინავები, ქარის ელექტროსადურები, გემები, სასმელი წყლის ავზები, საცხოვრებელი სახლებით და საოფისე შენობები.

ათასზე მეტი გარდამავალი ფერი კომპრომისების გარეშე

PPG CHROMATIC-ის ფერადოვანი სქემა გთავაზობთ 1170 ხელმისაწვდომ ფერს.

CHROMATIC არის ნაკრები, რომელშიც გაერთიანებულია ყველაზე ფართოდ გავრცელებული და ბაზარზე ხშირად გამოყენებული ჩრდილები და მომავლის ტრენდული ფერები.

- უნიკალური ფერთა კატალოგი PPG-ის ყველა ბრენდისა და არხისთვის
- განსხვავებული და მრავალფეროვანი ფერთა გამა: შთამაგონებელი, ტრენდული, უნიკალური, შთამბეჭდავი და გარდამავალი
- ფერები პროფესიონალებისა და მომხმარებლებისთვის

PPG CHROMATIC და CHROMATIC FACADE
აუცილებელი პროფესიონალური სამუშაო იარაღია ფერის კონსულტაციისა და ნებისმიერი სახის დიზაინისთვის. ის ამარტივებს სასურველი ფერის და ტონალობის შერჩევას და იძლევა ზუსტი შედეგის მიღების გარანტიას.

ჩვენი უნიკალური ფერები შენი შთაგონებისთვის

ფერი ემოციაა და შეუძლია ადამიანზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება სხვადასხვაგვარად. ჩვენ ვიცით რომ ის ჩვენი გემოვნების და განწყობის გამოხატული მაჩვენებელია. შესაბამისად სწორი ფერის შერჩევა კრიტიკულად მნიშვნელოვანია, როდესაც ქმნი სახლს, რომელიც შენს ხედვას და პიროვნულობას გამოხატავს. ათასობით ტონალობიდან და მქრქალი თუ პრიალა ზედაპირის მქონე საღებავიდან არჩევანის გაკეთებით, ჩვენი ფერები დაგეხმარება შექმნა შენი ოცნების სახლი. ჩვენი ემულსიური საღებავების კოლექცია სრულად არის კოორდინირებული და შეხამებული დანარჩენ პროდუქტებთან, როგორიცაა მინანქრები და ხის ლაქები. ეს საშუალებას გაძლევთ უჩვეულო საგნების უთვალავი კომბინაცია შექმნათ: შეუხამოთ კრეატიული კონცეფცია არქიტექტორების, დიზაინერების ან პროფესიონალი მხატვრების მიერ შექმნილ შენობის ჰარმონიულ კომპოზიციას და მის ბუნებრივ გარემოს.

ჩვენ გისმენთ, თქვენთან ერთად ვქმნით ხარისხიან პროდუქტსა და მომსახურებას, რაც გეხმარებათ საუკეთესო შედეგის მიღწევაში. გაქვთ ტექნიკური კითხვები? გჭირდებათ რჩევა საღებავთან ან სხვა მასალასთან დაკავშირებით? გჭირდებათ დახმარება სამშენებლო ობიექტზე ან მისი მდგრადი მოვლის საკითხთან დაკავშირებით? ჩვენი ტრეიდ პარტნიორები და ჩვენი პროფესიონალი კონსულტანტები თქვენს სამსახურში არიან მუდმივად.

როდესაც ფერი ზუსტი მეცნიერებაა...

რაც შეეხება ფერის ტექნოლოგიას, PPG-სთან თქვენ საუკეთესო ხელში ხართ. ენდეთ პროფესიონალიზმს და მრავალწლიან გამოცდილებას დაფერვაში და ნოუ-ჰაუს ფერის ტექნოლოგიაში.

PPG-ის ფერის კოლირების სისტემა არის ზუსტი და ეფექტური ფერის მიღების გარანტი.

- უმაღლესი ფერის სიზუსტე პროდუქტების სრულ ასორტიმენტში
- ფერების უდიდესი არჩევანი
- ფერთა არაჩვეულებრივი გამა მაღალი შუქგამძლეობით
- ადვილი განმეორებითი ფერის დასმა
- პროფესიონალური ფერის სასრობები უმაღლესი მოთხოვნების მქონე მომხმარებელებისთვის (ფერის დონის განსაზღვა, შუქგამძლეობის ზუსტი მონაცემი)

ინტერიერის ღებვისას...

ერთი შეხედვით მარტივია ინტერიერი საკუთარი ხელით შეღებო და დიდად ვერაფერს გააფუჭებ, თან თანხასაც დაზოგავ, მაგრამ მასალების შეძენისას კარგად მოიფიქრე რა საკითხებში შეიძლება დაგჭირდეს დახმარება. კერძოდ, ჩრდილების შერჩევა და შესაფერისი საღებავის შეძენა ღებვის პროფესიონალურ გამოცდილებას მოითხოვს. ექსპერტთან კონსულტაცია ამ შემთხვევაში ძალიან კარგი გადაწყვეტილებაა, რადგან საღებავის სწორი შერჩევა ღებვის აბა-ბანაა.

ზოგიერთი საღებავი იყიდება ძალიან ხელმისაწვდომ ფასებში, აქვს შესანიშნავი პარამეტრები და შესაფერისია ნაკლებად გამოცდილი მღებავებისთვის, თუმცა საღებავის შეძენისას, ყველაზე იაფი საშუალება ყოველთვის არ გამოდგება, რადგან ამან შეიძლება მოსალოდნელი ეფექტი არ მოიტანოს და გამოსასწორებელი ან გადასაღები გახდეს. ტონის არჩევანი თქვენზეა, მაგრამ ყოველთვის გამოიყენეთ ხარისხიანი საღებავი. ეს არის ერთადერთი გარანტი იმისა, რომ სედეგი 100%-ით იქნება მიღებული და მომავალ წელს გადასღები არ გახდება.

ჩვენ გირჩევთ რეცხვად საღებავებს ეგრედწოდებული სველი-ხეხვისადმი მდგრადობით. თუ კედლები ხშირად ილაქება ნათითურებით და წვეთებით, თქვენ შეგიძლიათ მარტივად მოაშოროთ ჭუჭყი ღრუბლისა და საწმენდი ხსნარების მეშვეობით დაზიანების გარეშე. თუ ბავშვები ან შინაური ცხოველები გყავთ, თქვენ იგრძნობთ რეცხვადი საღებავის უპირატესობას ყოველდღიურად. რეცხვადი სარებავი გაძლებს უფრო დიდხანს და თქვენ არ მოგიწევთ მისი ფხეკა და ხეხვა ყოველ ჯერზე, როდესაც ხელმეორედ გადაღებვას გადაწყვეტთ. თქვენ დაზოგავთ თქვენს დროსაც და ფინანსებსაც.

რა უნდა ვიცოდეთ საღებავების შერჩევისას?

- ყველა ფერი არ გამოიყენება სხვადასხვა ზედაპირზე
- საღებავები განსხვავდება თავისი სუნთქვადობითა და სველი ხეხვის
- არსებობს მქრქალი და პრიალა ზედაპირიანი საღებავები
- ყველა საღებავს სხვადასხვა დაფარვის ხარისხი აქვს
- ფერების შერევა და სასურველი ფერის მიღების პროცესი გადაღებვისას და განახლებისას დამოუკიდებლად მარტივი არ არის. გამოიყენე PPG-ის ფერების ცენტრი რომ სასურველი შედეგი მიიღო.
- გამოთვალე და დაგეგმე ღებვის პროცესი. ეს ხარჯებს დაგიზოგავს.
- გაითვალისწინე ზედაპირის მდგომარეობა და ოთახის ტიპი საღებავის შერჩევისას.

თეთრი თუ ფერადი?

პასტელური ჩრდილები, ფერთა კომბინაციები, ზოლები და სხვა ფიგურები თუ სპეციალური ტექნიკები ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს, მაგრამ ბევრი ადამიანი თეთრი საღებავის და თეთრი ფერის სისადავესა და სიქათქათეს ანიჭებს უპირატესობას.

ზოგი ადამიანი ამბობს, რომ თეთრი ნამდვილი ფერი არ არის. თუმცა თეთრი ფერი ინტერიერში ქმნის მეგობრულ და სუფთა ატმოსფეროს. ის კარგად მუშაობს განსხვავებული სტრუქტურის ზედაპირის მქონე კედლებზე და გვაძლევს განათებულ სივრცეს. უფრო მეტიც, ის განსაკუთრებით კარგად ეხამება ბუნებრივი მასალის ავეჯსა და აქსესუარებს, როგორიცაა ხე. კედლები თქვენი სახლის საკმაოდ დიდ ფართობს იკავებს, ამიტომ მათი ფერი დიდი სიფრთხილით უნდა შეირჩეს ოჯახის ყველა წევრის შეთანხმებით, თითოეულის გემოვნების, ცხოვრების სტილის და საჭიროებების გათვალისწინებით. თბილი ფერები ოპტიმისტურად მოქმედებს: ღია ტონალობები ოპტიკურად ანათებს და ზრდის სივრცეს. მუქი ტონალობები აპატარავებს ოთახს, ამცირებს, მაგრამ ასევე ხაზს უსვამს ოთახის დანიშნულებასაც.

ცივი ფერები სუფთა ჰაერის ჩასუნთქვას გავს: ისინი ქმნიან სიხასხასის, სიახლის, სიმშვიდის ატმოსფეროს და ძირითადად გამოიყენება საძინებლებსა და ოფისებში. მათი ღია ტონალობები ოპტიკურად ზრდის სივრცეს; უფრო მუქი ჩრდილები კი გამოიყენება დიდი ზომის, კარგად განათებულ ოთახებში.

ჩვენ ვიყენებთ 50 წლიან გამოცდილებას ინტერიერის და ექსტერიერის საღებავების შექმნის პროცესში.

პროდუქტის მაღალი ხარისხის თანმიმდევრობა გარანტირებულია ნანოტექნოლოგიების გამოყენებით და ასევე შერჩეული პარამეტრების ყოველდღიური მონიტორინგით. ეს გვაძლევს რწმენას იმისა, რომ ჩვენ არასოდეს დავკარგავთ ჩვენი მომხმარებლების ნდობას.

ინტერიერის კედლის საღებავები

ფერის გამოყენება თქვენი სახლის ყველაზე დიდ ტრანსფორმაციას ახდენს.

ინტერიერის კედლის საღებავები

Trilak-ი დღეს

Trilak-ი, კომპანია, რომელიც დაფუძნდა 1907 წელს და მდებარეობს ბუდაპეშტში, არის ერთ-ერთი წამყვანი საღებავების მწარმოებელი ევროპაში. ღებვის უძველეს ტრადიციებზე დაფუძნებით, კომპანია იკავებს წამყვან პოზიციას ბაზარზე მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებით, რომლებიც ყველასთვსი ხელმისაწვდომი, გარემოსადმი მეგობრული და მომხმარებლისადმი მეგობრულია. 1988 წლიდან Trilak-ი PPG Industries წევრია.

PPG ჯგუფი

PPG: ჩვენ ვიცავთ და ვალამაზებთ სამყაროს
PPG Industries ხედვაა იყოს მსოფლიოს პირველი კომპანია ლაქ-საღებავების ინდუსტრიაში, აწვდიდეს მომხმარებელს მაღალი ხარისხის პროდუქციას და მომსახურებას. ინოვაციური და მდგრადი გადაწყვეტილებებით ჩვენ მუდმივად ვაუმჯობესებთ პროდუქციას და ვიცავთ გარემოს.

trilak
საღებავის ოსტატი
by PPG

héra®

HERA White

აღწერილობა: ძალიან მარალი დაფარვის ხარისხი და მიმზიდველი დასრულებული ზედაპირი.

თვისებები: გამოიყენება ყველა ტიპის შენობის ზედაპირისთვის ინტერიერში, როგორიცაა ბათქაში, თაბაშირის ფილები, რელიეფურად დაშპაკლული კედლის ზედაპირი, დაპრესილი ნახერხის ფილები და სხვა.
კონდესატ გამტარი, მარტივი გამოყენებისას. ფითქინა თეთრი ფერი.

გაზავება: წყლით 5%-მდე
დაფარვის დონე: 12მ²/ლ ერთი ფენა

PRIMALEX **ინტერიერის** კედლის საღებავები

optimal

უნივერსალური ყველა სახის ზედაპირისთვის, როგორიცაა ბათქაში, თაბაშირის ფილები, რელიეფურად დაშპაკლული კედლის ზედაპირი, დაპრესილი ნახერხის ფილები და სხვა.

სქელი და კრემისებრი ემულსიური საღებავი მაღალი ხარისხის და გამძლე მასალაა პირველადი გამოყენებისა თუ განახლებისათვის ინტერიერის ჭერსა და კედლებზე. დამბინძურებელი აგენტების დაბალი კონცენტრაციის გამო ზედაპირს აძლევს სუნქვის საშუალებას. განსაკუთრებით ძლიერი კონდესატ გამტარია და გამოირჩევა სველი ხეხვის მიმართ მდგრადობით. უზრუნველყოფს მდიდრულ თეთრ მქრქალ ფერს, რომელიც შესაფერისია როგორც საცხოვრებელი ოთახებისთვის, ასევე საოფისე სივრცეებისთვის.

იცით თუ არა რომ?

ქათქათა თეთრი სარებავები განათების ინტენსიურობას ზრდის. ამის ხარჯზე ჩვენ გვაქვს შეგრძნება, რომ ოთახში მეთი სინათლეა, ვიდრე სინამდვილეში.

exclusive

უნივერსალური ყველა სახის ზედაპირისთვის, როგორიცაა ბათქაში, თაბაშირის ფილები, რელიეფურად დაშპაკლული კედლის ზედაპირი, დაპრესილი ნახერხის ფილები და სხვა.

ექსკლუზიური, პრემიუმ კლასის, გლუვი და კრემისებრი ინტერიერის ემულსიური საღებავი შესანიშნავი სიმქრქალით და წმენდადობით. ეკოლოგიურად სუფთა, ჰაერის დამბინძურებელი აგენტების დაბალი კონცენტრაციის გამო. განსაკუთრებით კარგია ისეთი სივრცეებისთვის, სადაც მოძრაობს ბევრი ადამიანი. მაგალითად, მოსაცდელი ოთახები, სამედიცინო დაწესებულებები, სკოლები, ბაღები და ა.შ., ამას გარდა სამზარეულოები, ჰოლები, საბავშვო და მისაღები ოთახები. ფერების მდიდარი პალიტრა, ექსკლუზიური, მედეგი სიმქრქალე და დატანის სიმარტივე ამ საღებავს უფრო მეტად მომთხოვნი მომხმარებლის ფავორიტ პროდუქტად აქცევს.

იცი თუ არა რომ?

თუ ფერის შეცვლაზე ფიქრობთ, რადგან თეთრი კედლები მოსაწყენი გახდა, უნდა იცოდეთ, რომ შერჩეული ფერი გავლენას მოახდენს მთელი თქვენი ოჯახის კეთილდღეობაზე. ფერები არა მხოლოდ ვიზუალურად ზრდის ან ამცირებს სივრცეს, ადაბლებს ჭერს ან აფართოებს ოთახის ზომას, არამედ ასევე მოქმედებს თქვენს განწყობაზე. ზოგიერთი ტონი ამშვიდებს, სხვები იწვევს გაღიზიანებას, ზოგს შეუძლია მექმნას სიცივის ან სითბოს შეგრძნება.

HIGH OPACITY

SUPER WHITE

- ძლიერი სითეთრე.
- შესანიშნავი გაუმქვირვალობა.
- მარტივი აპლიკაცია - არ ტოვებს გორგოლაჭის ან ფუნჯის წანასმებს.
- მშრალი ხეხვისადმი ძლიერი მედეგობა.
- გამძლე და დიფუზიური.

გამოყენება

დაფარიანობა

ინტერიერი | ერთი ფენა | გაშრობა

WASHABLE

color center PPG

- შესანიშნავი დაფარვა და ფერთა ფართო არჩევანი
- გამძლე და წმენდისადმი მედეგი ზედაპირი
- ადვილად საწმენდი
- წყლის ორთქლის მაღალი გამტარობა
- მარტივად გამოყენებადი

გამოყენება

დაფარიანობა

ინტერიერი | ერთი ფენა | გაშრობა

თეთრი ფერი	მქრქალი ზედაპირი	5 ლ 10 ლ 15 ლ შეფუთვა	კოლირდება შესაბამისი თხევადი პიგმენტებით კოლირება	წყლის ფუძეზე შემადგენელობა		თეთრი / ბაზა L ფერი	მქრქალი ზედაპირი	1 /2,5 /5 ლ 10 ლ 15 ლ შეფუთვა	თეთრი / ბაზა L ბაზა D ბაზა Z კოლირება	კლასი 2 სველი მოხეხვისადმი მედეგობა	წყლის ფუძეზე შემადგენელობა

facade

შექმნილია გარე გამოყენებისთვის, განსაკუთრებით ყველა მინერალური ზედაპირისთვის (ცემენტი, ბეტონი, კირქვა) და დაუმუშავებელი დისპერსიული მინერალური ზედაპირებისთვის, თაბაშირის სუბსტრაქტებისთვის ინტერიერში და სხვა.

აკრილატზე დაფუძნებული ექსტერიერის ემულსიური საღებავი კლიმატური პირობებისგან გრძელვადიანი დაცვით და ტენიანობის მიმართ მდგრადობით, გლუვი ზედაპირებისთვის. მაღალი ხარისხის, დიფუზიური ფასადის საიზოლაციო მასალებისთვის, სადაც საჭიროა ზედაპირის ტექსტურის შენარჩუნება. ადვილად გამოსაყენებელია, რაც უზრუნველყოფს ერთგვაროვან სიბრტყეს და უზრუნველყოფს სტაბილურ ფერს დიდხანს. საფარის ზედაპირის გლუვი ხასიათი ასევე ხაზს უსვამს არქიტექტურის ვიზუალურ სახეს.

იცი თუ არა რომ?

როდესაც შენი სახლის ფასადის ფერზე ფიქრობ, მნიშვნელოვანია შეარჩიოთ ტონები რომლებიც მარტივი მოსავლელია (ადვილად იწმინდება), რომლებიც ერწყმის სახლის დანარჩენ იერსახეს და ქმნის საინტერესო და ესთეტიურ მთლიანობას.

- მაღალი დაფარვის ხარისხი და ფერთა ფართო არჩევანი
- კლიმატური პირობების მიმართ მდგრადობა
- ხანგრძლივი დაცვა და მედეგობა
- წყლის ორთქლის მაღალი გამტარობა
- შესანიშნავი ადჰესია

		5 ლ 10 ლ 15 ლ	თეთრი / ბაზა L ბაზა D ბაზა Z	EN 1062 G3 E3 S1 V1 W2 A0	
თეთრი / ბაზა L ფერი	მქრქალი ზედაპირი	შეფუთვა	კოლირება	კლასიფიკაცია	წყლის ფუძეზე შემადგენელობა

გამოყენება

დაფარიანობა: 6-9 მ²/ლ

ექტერიერი | ერთი ფენა | გაშრობა 4 ს 23°C

facade elastic

წყალზე დაფუძნებული, აკრილის ფისოვანი საღებავი გარე გამოყენებისთვის. მიკრო ბოჭკოების მაღალი შემცველობა უზრუნველყოფს არაერთგვაროვანი ბზარების შევსებას 0,5 მმ-მდე. სილიკონის დანამატი უზრუნველყოფს ჭუჭყგამძლე დამცავი ფენის წარმოქმნას, რომელიც მდგრადია ობის, წყალმცენარეების და ჭუჭყის მიმართ. იგი უზრუნველყოფს ნესტის საწინააღმდეგო მქრქალ ზედაპირს, რომელიც ძალიან მდგრადია ამინდის არახელსაყრელი პირობების მიმართ და ამავე დროს ზედაპირს უნარჩუნებს შესანიშნავ ჰაერგამტარიანობას/სუნთქვადობას.

გარე გამოყენებისთვის, განსაკუთრებით ყველა სახის ძველი ფასადების განახლებისთვის და შიდა ფასადებისთვის, როგორიცაა ბათქაში (მინერალური, აკრილის, სილიკონის, მათ შორის საიზოლაციო სისტემები). იდეალურია სხვადასხვა ტექსტურისა და რელიეფის მყარი საფასადე ზედაპირების დეკორატიული დამუშავებისთვის.

- სილიკონის დანამატით ძლიერი და ხანგრძლივი მდგრადობისათვის კლიმატური პირობების მიმართ
- გამყარებულია ელასტიური ბოჭკოთი
- შესანიშნავად ავსებს ხარვეზებს ზედაპირზე
- ძლიერი დაფარვის ხარისხი და ფერთა ფართო არჩევანი
- შესანიშნავი დაცვა და არის ძალიან გამძლე

		5 ლ 10 ლ 15 ლ	თეთრი / ბაზა L ბაზა D ბაზა Z	EN 1062 G3 E3 S1 V1 W2 A0	
თეთრი / ბაზა L ფერი	მქრქალი ზედაპირი	შეფუთვა	კოლირება	კლასიფიკაცია	წყლის ფუძეზე შემადგენელობა

გამოყენება

დაფარიანობა: 5-8 მ²/ლ

ექტერიერი | ერთი ფენა | გაშრობა 4 ს 23°C

primer

იდეალურია ყველა ტიპის ზედაპირისთვის მაღალი ან არათანაბარი შეწოვადობით. კერძოდ დაუმუშავებელი კედლებისა და ჭერისთვის, თაბაშირისთვის, მინერალური ბათქაშისთვის, მჭიდროდ განლაგებული ან მცირე ღარების მქონე ძველი საფარებისთვის, გიფსოკარდონის და ბეტონის ზედაპირებისთვის და ა.შ.

უნივერსალური პრაიმერი ინტერიერისა და ექსტერიერისთვის. ამცირებს ზედაპირის შეწოვადობას და ქმნის სრულყოფილ ბაზას საღებავის დასატანად. უზრუნველყოფს ზედაპირის ერთგაროვნებას და როგორც ღია ასევე ინტენსიური ფერების მდგრადობას.



- შეწოვადობის შესანიშნავი დაბალანსება და შემცირება
- ფოროვანი ზედაპირების გამყარება
- მაღალი დაფარვის ხარისხი და კონცენტრაცია
- ეკო-მეგობრული
- სწრაფად შრობადი

PRIMALEX-ის გრუნტს აქვს ძლიერი ჰიპროსკოპიული/ტენის შეწოვის უნარი, რაც ხელს უშლის დამტვერვას მინერალურ ან სხვა ზედაპირებზე გამოყენებისას.

Caucasus paints

გააფერადე შენი იდეები

შპს კაუკასუს პეინტს
ქ.თბილისი, მეფე მირიანის ქ. 116, დიდი-დიღომი 0131 ტელ:+995 32 2420350, ელ-ფოსტა:contact@cap.ge

www.cap.ge